



მორის მეტერლინკი - წმინდა ანტუანის სასწაული
Maurice Maeterlinck - Le Miracle de saint Antoine

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.
0186 თბილისი, საქართველო
[www. iBooks.ge](http://www.iBooks.ge)

ქართული თარგმანი ეკუთვნის დავით აკრიანს.

iBooks® 2018 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: info@iBooks.ge

სარჩევი

მოქმედი პირნი
პირველი მოქმედება
მეორე მოქმედება

ფარსი ორ მოქმედებად

მოქმედი პირნი:

წმინდა ანტუანი

ბ-ნი გუსტავი

ბ-ნი აშილი

ექიმი

იურე

პოლიციის კომისარი

ჟოზეფი

ორი რწმუნებული

მადმუაზელ ჰორტენზია

ვირჟინია

დისწულ-ძმისწულები, ბიძაშვილ-მამიდაშვილები, სტუმრები
და ა. შ.

მოქმედება ხდება ჩვენი დროის ფლამანდიურ ქალაქში.

პირველი მოქმედება

პატარა ფლამანდიური ქალაქი. ქალაქელი მესაკუთრის ძველი დიდი სახლის წინკარი. მარჯვნივ - ქუჩაში გამავალი ალაცაფის კარი. სიღრმეში - რამდენიმე ნაბიჯის სიგანის ბაქანი, რომელიც მთავრდება სახლში შესასვლელი დიდი შუშებიანი კარით. მარჯვნივ - კიდევ ერთი კარი. კედლის გასწვრივ დგას ერთი მუშამზაგადაკრული სავარძელი, რამდენიმე სკამი და საკიდი, რომელზეც ჰკიდია პალტო, ქუდეები და სხვ. ფარდის ახლოს, სპილენძის ვედრებით, ჩვრებით, ცოცხებით და ჯაგრისებით გარშემორტყმული, კალთებაკეცილი, მუხლშიშველი და დიდ საბოებში ფეხწყაფილი მოხუცი მოსამსახურე ვირჟინია წყლის ძლიერი ნაკადის ქვეშ რეცხავს მარმარილოს ფილებს. დროდადრო ჩერდება, ხმამაღლა იხოცავს ცხვირს და ლურჯი წინსაფრის ბოლოთი იწმენდს ჩამოგორებულ კურცხალს. ვიღაც რეკავს ალაცაფის კარზე. ვირჟინია ადებს და ზღურბლზე გამოჩნდება თავ-ფეხშიშველი, თმაწვერაბურძენილი მაღალი და მჭლე მოხუცი უფერო, უფორმო, დასერილი და უხვად დაკემსილ-დაკერებული ჯვალოთი.

სურათი პირველი

ვირჟინია, წმინდა ანტუანი.

ვირჟინია (ადებს კარს): რა ხდება? დღეს ოცდამეთექვსმეტეჯერ რეკავენ... კიდევ ერთი მათხოვარი! რა გნებავთ? წმინდა ანტუანი: შემოსვლა.

ვირჟინია: არა, არა, ძალიან დასვრილი ხართ! მანდ დარჩით. რას ითხოვთ?

წმინდა ანტუანი: შემოსვლას.

ვირჟინია: რისთვის?

წმინდა ანტუანი: მადმუაზელ ჰორტენზია უნდა გავაცოცხლო.

ვირჟინია: მადმუაზელ ჰორტენზია უნდა გააცოცხლოთ? ეს რაღაა? ვინ ბრძანდებით?

წმინდა ანტუანი: წმინდა ანტუანი.

ვირჟინია: პადუელი?

წმინდა ანტუანი: პადუელი. (წმინდანის ნიშში გაბრწყინდება მათხოვრის თავზე)

ვირჟინია: ღმერთო მაღალო! ღვთისმშობელო მარიამ! ნამდვილად ასეა!... (ბოლომდე ადებს კარს, მუხლებზე ეცემა და, თავისი ცოცხის ტარზე ხელებშეერთებული, სხაპასხუპით ამბობს: „წმიდა ხარ... წმიდა ხარ... წმიდა ხარ...“, რომლის შემდეგაც კოცნით ფარავს წმინდანის სამოსის ბოლოს და უანგარიშოდ იმეორებს): შეგვიბრალე, წმინდაო ანტუან! ილოცე ჩვენთვის, დიდო წმინდაო ანტუან!..

წმინდა ანტუანი: ახლა ნება მომეცით შემოვიდე და კარი დავხურო.

ვირჟინია (დგება პირდაღრეჯილი): აი ჭილობი, ფეხები გაიმშრალეთ... (წმინდა ანტუანი მოუხერხებლად ემორჩილება) აი, ასე... აი, ასე...

წმინდა ანტუანი (უთითებს მარჯვენა კარზე): მადმუაზელი აქ წევს.

ვირჟინია (გაოგნებული და აღფრთოვანებული): ნამდვილად!.. საიდან იცით? გასაოცარია! იქ არის, დიდ ოთახში... საბრალო

ქალბატონი! ჯერ მხოლოდ სამოცდაჩვიდმეტი წლის იყო... საკმაოდ ახალგაზრდა, არა? იცით, დიდად ღვთისმოსავი ადამიანი იყო... ბევრი იტანჯა... მდიდარიც იყო... რამდენადაც ვიცი, ორი მილიონი დატოვა... ორი მილიონი - ეს ძალიან ბევრია...

წმინდა ანტუანი: ჰო.

ვირჟინია: მის ორ დისწულს - ბატონ გუსტავს და ბატონ აშილს - და მათ შვილებს რჩებათ ყველაფერი. ეს სახლი ბატონი გუსტავის იქნება. სხვებიც არ დაივიწყა: კიურე, ეკლესია, მეკარე, მნათე, ვიკარი, თოთხმეტი იეზუიტი, სახლის ყველა წევრი - თითოეული იმისდა მიხედვით, რამდენ ხანსაც მას ემსახურნენ... მე ყველაზე მეტი მერგო: ოცდაცამეტი წელი ვემსახურე და სამიათას სამასი ფრანკი მივიღე. კარგი რიცხვია.

წმინდა ანტუანი: მართლაც.

ვირჟინია: ჩემი არაფერი მართებდა. ყოველთვის მამლევედა ხელფასს, - ვერაფერს ვიტყვი. ბევრ ბატონს ვერ იპოვი, ასე რომ იქცეოდეს სიკვდილის შემდეგ. - ეს ქალი წმინდანი იყო. დღეს უნდა დაკრძალონ. - უამრავი ყვავილი გამოგვიგზავნეს. - თქვენ დარბაზი უნდა ნახოთ! პირდაპირ გულს უხარია! საწოლზე, მაგიდაზე, სკამებზე, სავარძლებზე, პიანინოზე - ყველგან თეთრი ყვავილებია... ო, რა სილამაზეა! გვირგვინები სად დააწყონ აღარ იციან... (კარზე რეკავენ. ვირჟინია აღებს და ბრუნდება ორი გვირგვინით ხელში) აი, კიდევ ორი... (ათვალიერებს და წონით ერთმანეთს ადარებს) ორივე ძალიან ლამაზია... ცოტა ხანს დამიჭირეთ, სანამ დალაგებას მოვრჩები. (გვირგვინებს ხელში აჩეჩებს წმინდა ანტუანს, რომელიც მორჩილად იჭერს თითოს თითო ხელში) ნაშუადღევს

გაასვენებენ... ყველაფერი უნდა ქათქათებდეს და ვეღარ ვასწრებ...

წმინდა ანტუანი: მიმიყვანეთ მიცვალებულთან.

ვირჟინია: მიცვალებულთან? ახლა?

წმინდა ანტუანი: ჰო.

ვირჟინია: ეს შეუძლებელია! ცოტა უნდა მოვიცადოთ, ისინი ისევ მაგიდას უსხედან.

წმინდა ანტუანი: ღმერთი მაჩქარებს. დროა.

ვირჟინია: რა უნდა გაუკეთოთ?

წმინდა ანტუანი: ხომ გითხარით - სიცოცხლე უნდა დავუბრუნო.

ვირჟინია: სიცოცხლე უნდა დაუბრუნოთ? მართლა აპირებთ გაცოცხლებას?

წმინდა ანტუანი: ჰო.

ვირჟინია: მაგრამ ის ხომ სამი დღის მკვდარია!

წმინდა ანტუანი: ამიტომაც მინდა მისი გაცოცხლება.

ვირჟინია: ისევ უწინდებურად იცოცხლებს?

წმინდა ანტუანი: ჰო.

ვირჟინია: მაგრამ მერე ხომ მემკვიდრეებიც აღარ იქნებიან?

წმინდა ანტუანი: ბუნებრივია.

ვირჟინია: რას იტყვის ამაზე ბატონი გუსტავი?

წმინდა ანტუანი: არ ვიცი.

ვირჟინია: ამ სამიათას სამას ფრანკსაც, მე რომ დამიტოვა სიკვდილის შემდეგ, ხომ უკან წაიღებს?

წმინდა ანტუანი: ცხადია.

ვირჟინია: ეს ძალიან საწყენი იქნება!

წმინდა ანტუანი: გაქვთ სხვა ფული, რამე დანაზოგი?

ვირჟინია: არც ერთი სუ... ჩემი და ყველაფერს ნთქავს, რასაც კი ვშოულობ.

წმინდა ანტუანი: თუ თქვენ გეშინიათ სამი ათასი ფრანკის დაკარგვის...

ვირჟინია: სამიათას სამასის.

წმინდა ანტუანი: თუ თქვენ გეშინიათ ამ ფულის დაკარგვის, მე მას არ გავაცოცხლებ.

ვირჟინია: არ შეიძლება, რომ ეს ფულიც დამრჩეს და ქალბატონმაც იცოცხლოს?

წმინდა ანტუანი: არა. ან ერთი უნდა აირჩიოთ, ან მეორე... მე ციდან თქვენმა ლოცვებმა ჩამომიყვანა. ახლა თქვენვე ამოირჩიეთ...

ვირჟინია (წუთით ჩაფიქრების შემდეგ): მაშინ გავაცოცხლებ! (წმინდანის ნიშბი ინთება და ბრწყინავს) ეს რა გაქვთ?

წმინდა ანტუანი: თქვენ მე მასიამოვნეთ.

ვირჟინია: და ამ დროს ეგ თქვენი... მოწყობილობა... ინთება?

წმინდა ანტუანი: ჰო, ჩემდაუნებურად.

ვირჟინია: საინტერესოა... ოღონდ თეთრ ფარდებთან დიდხანს ნუ გაჩერდებით, ცეცხლი არ წაეკიდოს.

წმინდა ანტუანი: ნუ შიშობთ, ეს ციური ცეცხლია... მიმიყვანეთ ცხედართან.

ვირჟინია: ხომ გითხარით - მოვიცადოთ-მეთქი. ჯერ კიდევ მაგიდას უსხედან, ვერ შევაწუხებ.

წმინდა ანტუანი: ვინ უზის მაგიდას?

ვირჟინია: ბატონები, ეშმაკმა დალახვროს!.. და მთელი ოჯახი... ორი დისწული - ბ-ნი გუსტავი და ბ-ნი აშილი, მათი მეუღლეები, შვილები, ბ-ნი ჟორჟი, ალბერკი, ალფონსი და

დეზირე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, კიურე, ექიმი... კიდევ ვინ? შორიდან მოსული მეგობრები, ნათესავები - თვალთ რომ არასოდეს გვინახავს... სულ ბობოლა ხალხია...

წმინდა ანტუანი: ჰოო...

ვირჟინია: ჩვენი ქუჩა თუ გინახავთ?

წმინდა ანტუანი: რომელი ქუჩა?

ვირჟინია: ჩვენი, ეშმაკმა დალახვროს, რომელზეც ეს სახლი დგას?..

წმინდა ანტუანი: მინახავს.

ვირჟინია: ლამაზი ქუჩაა. მარცხნივ მდებარე ყველა სახლი, გარდა სულ პირველისა, მეფუნთუშე რომ ცხოვრობს, - ჩვენს ქალბატონს ეკუთვნის. მარჯვენა მხარის სახლები კი სულ ბატონი გუსტავისაა... ოცდაორი სახლია... ბევრი ფული აქვთ, და იმიტომ!

წმინდა ანტუანი: მართლაც.

ვირჟინია (უთითებს ნიშბზე): მოიცათ... თქვენი აპარატი ქრება!..

წმინდა ანტუანი (ხელს წაიღებს ნიშბისკენ): ჰო, მართლაც...

ვირჟინია: დიდხანს არ ანთია ხოლმე?

წმინდა ანტუანი: იმისდა მიხედვით, რა აზრები მაქვს თავში...

ვირჟინია: დიახ, ტყეები, ფერმები, სახლები! ბატონ გუსტავს სახამებლის დიდი ქარხანა აქვს: „სახამებელი გუსტავი“. უნდა გაიგნოთ! ეს ძალიან კარგი და ძალიან მდიდარი ოჯახია... ოთხი რანტიეა, მარტო კაპიტალიდან შემოსავლით რომ ცხოვრობს და თითსაც არ ანძრევს... აჰ, რა კარგია ეს ყველაფერი! მეგობრები, ურთიერთობები, მდგმურები... ამ დაკრძალვაზე ყველა მოვიდა, ზოგი - ძალიან შორიდანაც... ერთმა თურმე ორი ღამე იმგზავრა, სანამ აქ მოაღწევდა... გაჩვენებთ, ლამაზი წვერი აქვს... ახლა

საუზმობენ. ჯერ ისევ მაგიდასთან არიან. ვერ შევაწუხებ, დიდი საუზმეა გამართული, ოცდაოთხი მაგიდა დგას... მენიუ ვნახე: ხამანწყები, ორნაირი წვნიანი, სამნაირი პირველი თავი საჭმელი, ლაბა-სხმული ლანგუსტი, კალმახი შუბერტულად... იცით, ეს რა არის?

წმინდა ანტუანი: არა.

ვირჟინია: არც მე. მგონი, მაგარი რამეა, მაგრამ საჩვენო არ არის... შამპანურს არ შემოიტანენ, გლოვის დღეა, მაგრამ სხვა ღვინოებს კი - იცოცხლე!.. მადმუაზელს მთელ ქალაქში საუკეთესო ღვინის სარდაფი ჰქონდა... იქნებ ერთი ჭიქა როგორმე მოგიხერხოთ, თუ დარჩა... გასინჯეთ ერთი, რა არის! მოიცათ, წავალ, ვნახავ რას აკეთებენ (ადის ბაქანზე, ფარდას გადასწევს და იყურება შუშებიანი კარის ფანჯარაში) მე მგონი, კალმახს იწყებენ, კალმახს „ა ლა შუბერტ“... მოიცათ... აი, ჟოზეფს ანანასი გამოაქვს... კიდევ ორი საათი აქვთ... თქვენ აქ დაჯექით... (წმინდა ანტუანი აპირებს სავარძელში ჩაჯდომას) არა, აქ არა, ძალიან დასვრილი ხართ... აი, ამ ტაბურეტზე კი შეიძლება... ჩემი საქმე უნდა დავამთავრო... (წმინდა ანტუანი ჯდება ტაბურეტზე. ვირჟინია განაგრძობს მუშაობას, წყლით ავსებს ვედროს) ერთი წუთით ფეხები ასწიეთ, წყალი უნდა მოვავლო... არა, მანდ ნუ იქნებით, ხელს მიშლით, მანდ ჯერ არ გამიწმენდია... აი, აქ დაჯექით, კუთხეში, ტაბურეტი კედელს მიაყრდნეთ... (წმინდა ანტუანი მორჩილად აკეთებს ყველაფერს) შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, აქ ფეხებს არავინ დაგისველებთ... არ გშიათ?

წმინდა ანტუანი: არა, გმადლობთ... საკმაოდ მეჩქარება. გააფრთხილეთ თქვენი ბატონები.

ვირჟინია: გეჩქარებათ? რა გაქვთ გასაკეთებელი?

წმინდა ანტუანი: კიდევ ორი თუ სამი სასწაული.

ვირჟინია: ვერაფერს ვერ ვეტყვი, სანამ მაგიდასთან სხედან... უნდა დაველოდოთ, როდის მიირთმევენ ყავას... ბატონი გუსტავი ძალიან განაწყენდება... არც კი ვიცი, როგორ მიგიღებთ... არ უყვარს, როცა ღარიბები შემოჰყავთ ხოლმე სახლში... თქვენ მდიდარს არ ჰგავხართ...

წმინდა ანტუანი: ჰო, წმინდანები მდიდრები არ არიან...

ვირჟინია: თუმცა მათ სახელზე შესაწირავი მიაქვთ...

წმინდა ანტუანი: ჰო, მაგრამ ის, რაც მიაქვთ, ცაში არ ადის.

ვირჟინია: შეუძლებელია! მაშ, შესაწირავი ვიღას მისდის? კიურეებს? კი უთქვამთ ჩემთვის, მაგრამ არ მჯეროდა... აი, წყალიც გამითავდა... მითხარით...

წმინდა ანტუანი: რა გითხრათ?

ვირჟინია: ხედავთ სპილენძის ონკანს თქვენს მარჯვნივ?

წმინდა ანტუანი: ვხედავ.

ვირჟინია: მანდ ვედრო დევს, ხომ ვერ ამივსებდით?

წმინდა ანტუანი: სიამოვნებით...

ვირჟინია: რა დამაწმენდინებს ამ ყველაფერს, თუ ვინმე არ მომეშველა... არავინ კი არ მეშველება! არავის არაფერი არ ახსოვს... ერთი მკვდარი და ამდენი საქმე. იცით, ეს რა არის? არა? კიდევ კარგი, რომ ეს ყოველდღე არ ხდება... არც გისურვებთ, რომ გაგეგოთ... ბატონი აზუზლუნდება, თუ ყველაფერი არ იზინებს და არ იწკრიალებს, სტუმრებმა ხომ აქ უნდა გაიარონ... ადვილი საქმე არ გეგონოთ! სპილენძის ჭურჭელიც უნდა გამოვხეხო... დაკეტეთ ონკანი, ეყოფა... ვედრო მომიტანეთ... ფეხებზე არ გცივათ? აიკეცეთ მაგ ჯვალს

კალთები, თორემ სულ დასველდებით... გვირგვინებს გაუფრთხილდით, ტაბურეტზე დააწყვეთ... აი, ეგრე... კარგია... (წმინდა ანტუნს მოაქვს წყლიანი ვედრო) გმადლობთ, დიდად დამავალბეთ... კიდევ ერთია საჭირო... (ისმის ადამიანთა ხმები და სკამების მიწევის ხმაური) მოიცათ... რა ხმაური ისმის? ვნახავ... (მიდის შუშებიან კართან) ჩუ!.. ბატონი დგება... რა ხდება? გაბრაზებულები არიან? არა, სხვები ისევ ჭამენ... ჟოზეფი ჭიქებს უვსებს ბატონ კიურეს... კალმასს ამთავრებენ... ბატონი ოთახიდან გადის, - იქნებ ამასობაში დავლაპარაკებოდი და მეთქვა, რომ თქვენ...

წმინდა ანტუნი: ჰო, ჰო, წადით, ახლავე წადით...

ვირჟინია: კარგი, ვედროს ხელი გაუშვით, აღარ მჭირდება... ცოცხი აიღეთ... ასე არა! წადით, დაჯექით... (წმინდა ანტუნი ემორჩილება და ჯდება გვირგვინებიან ტაბურეტზე.) უჰ, რას შვრებით! თქვენ გვირგვინებს აზიხართ!..

წმინდა ანტუნი: მაპატიეთ... ცოტა ცუდად ვხედავ...

ვირჟინია: ჩერჩეტი! ეგეც თქვენი წესიერი ხალხი! რას იტყვის ბატონი გუსტავი, როცა ამ გვირგვინებს ნახავს... საბედნიეროდ, ბევრი არაფერი დაშავებიათ... მოველებ... დაჯექით, მუხლებზე დაიწყვეთ და წყნარად იყავით. არ გაინძრეთ! კიდევ რამე სისულელეს ჩაიდენთ... (მუხლებზე დგება წმინდანის წინ) ლოცვა მინდა აღვივლინოთ.

წმინდა ანტუნი: აღვივლინეთ, ნუ დაიძაბებით...

ვირჟინია: მაკურთხეთ, სანამ მარტონი ვართ. როცა ბატონები მოვლენ, აქედან გამოსტუმრებენ. შეიძლება ვეღარც კი გნახოთ. მაკურთხეთ პირადად მე... მოხუცი ვარ და მჭირდება...

წმინდა ანტუნი (დგება და ლოცავს, ნიშგაბრწყინებული): გაკურთხებ, შვილო ჩემო, რამეთუ კეთილი ხარ, სულით და გულით უბრალო, უსაყვედურო, უშიშო და უზაკველი დიდ საიდუმლოთა წინაშე... თავისუფლად წადი, შვილო ჩემო, წადი და უთხარი შენს ბატონს...

(ვირჟინია გადის. წმინდა ანტუნი ისევ ტაბურეტზე ჯდება. ცოტა ხნის შემდეგ შუშებიანი კარიდან გამოდის ბატონი გუსტავი, უკან მოჰყვება ვირჟინია)

სურათი მეორე

ვირჟინია, წმინდა ანტუნი, ბატონი გუსტავი

ბ-ნი გუსტავი (მკაცრი და გაღიზიანებული ხმით): რა ხდება? რა გნებავთ? ვინ ხართ?

წმინდა ანტუნი (თავმდაბლად წამოდგება): წმინდა ანტუნი...

ბ-ნი გუსტავი: თქვენ გიჟი ხომ არ ხართ?

წმინდა ანტუნი: პადუელი...

ბ-ნი გუსტავი: ეს რა ხუმრობაა? სულ არა ვარ სიცილის გუნებაზე. მთვრალი ხომ არ ხართ? აქ რა გინდათ, რისთვის მოხვედით?

წმინდა ანტუნი: მადმუაზელი უნდა გავაცოცხლო.

ბ-ნი გუსტავი: რაა? დეიდაჩემი უნდა გავაცოცხლოთ?

(ვირჟინიას) მთლად გამტყვრალა! რატომ შემოუშვი? (წმინდა ანტუნს) მისმინეთ, მეგობარო, გონს მოდით. აი, თქვენ ათი სუ.

წმინდა ანტუნი (რბილი სიმტკიცით): დღეს უნდა გავაცოცხლო.

ბ-ნი გუსტავი: აუცილებლად, როგორც კი დაკრძალვა დამთავრდება... აქეთ მოზრმანდით, გასასვლელთან...

წმინდა ანტუანი: მხოლოდ მას შემდეგ წავალ, როცა გავაცოცხლებ.

ბ-ნი გუსტავი: აჰ, კმარა! უკვე მომბეზრდა! სტუმრები მელოდებიან (აღებს ალაყაფის კარს) აი, გასასვლელი... ცოტა დაუჩქარეთ...

წმინდა ანტუანი: მხოლოდ მას შემდეგ, როცა გავაცოცხლებ.

ბ-ნი გუსტავი: რაო? მაშ ასე, არა? კარგი, მაგასაც ვნახავთ... (აღებს შუშებიან კარს და ეძახის) ჟოზეფ!

სურათი მესამე

ვირჟინია, წმინდა ანტუანი, ბ-ნი გუსტავი, ჟოზეფი

ჟოზეფი (გამოჩნდება ბაქანზე, ორივე ხელით უჭირავს დიდი ოხშივარადენილი ლანგარი): რა გნებავთ, ბატონო?

ბ-ნი გუსტავი (უყურებს ლანგარს): ეს რა არის?

ჟოზეფი: კაკაბი, ბატონო.

ბ-ნი გუსტავი: კარგი. ეგ ლანგარი ვირჟინიას მიეცი და ეს ლოთი გამიგდე გარეთ. ცოცხლად!

ჟოზეფი (ლანგარს გადასცემს ვირჟინიას): კეთილი, ბატონო... (მიუახლოვდება წმინდანს) აბა, ძმაო, ხომ გაიგონე? აქ სმა არ გამოვა, აბა მოუსვი აქედან! ჩქარა-მეთქი! შენი ნებით წადი, გეთაყვა, თორემ მოგხვდება... ამ მუშტებს ხომ ხედავ? არ მიდიხარ? კარგი, ბებერო! გააღე კარი, ვირჟინია!

ბ-ნი გუსტავი: მოიცა, მე გავადებ... (აღებს ქუჩაში გასასვლელ კარს)

ჟოზეფი: საკმარისია, მანქანით ხომ არ გადის! (სახელოებს იკაპიწებს და ხელისგულეზე იფურთხებს) ახლა გიჩვენებ სეირს... (ხელს მაგრად ჩავლებს, რათა ერთი ხელისკვრით გააგდოს, მაგრამ ადგილიდან ვერ ძრავს... ამბობს შემკრთალი ხმით) ბატონო!

ბ-ნი გუსტავი: რა იყო?

ჟოზეფი: არ ვიცი რა ხდება... თითქოს ფესვი აქვს გადგმული... ადგილიდან ვერ დამრავ!

ბ-ნი გუსტავი: მოგეხმარები. (ორივე ერთად ცდილობს წმინდანის დამკვრას, მაგრამ უშედეგოდ)

ბ-ნი გუსტავი (ხმადაბლა): აჰ!.. მაგრამ... ეს ხომ საშიშია! უნდა გავფრთხილდე, საშინელი ძალის პატრონია... იქნებ მოფერებით დავიყოლიოთ... ხომ იცით, მეგობარო, რა მძიმე დღე გვაქვს! დეიდას ვასაფლავებთ, ჩემს საბრალო და ღრმად პატივცემულ დეიდას!

წმინდა ანტუანი: სწორედ მის გასაცოცხლებლად მოვედი.

ბ-ნი გუსტავი: მაგრამ ხომ გესმით, რომ ახლა ამის დრო არ არის... კაკაბი ცივდება, სტუმრები იცდიან, აბა რა გვეხუმრება... (ბაქანზე გამოჩნდება ბ-ნი აშილი ხელსახოცით ხელში)

სურათი მეოთხე

იგივენი და ბ-ნი აშილი

ბ-ნი აშილი: რა ხდება, გუსტავ? ვინ არის?.. კაკაბი გველოდება...

ბ-ნი გუსტავი: აი, ამ ბატონს არ სურს აქედან წასვლა...

ბ-ნი აშილი: მთვრალია?

ბ-ნი გუსტავი: აბა რა იქნება.

ბ-ნი აშილი: გააგდე კარში და გაათავე! განა ღირს მშვენიერი საუზმის დაკარგვა ვიღაც ლოთის გულისთვის?

ბ-ნი გუსტავი: ვერ ვახერხებთ.

ბ-ნი აშილი: როგორ თუ ვერ ახერხებთ? აბა, მაჩვენეთ!

ბ-ნი გუსტავი: თვითონ სცადე, თუ გინდა.

ბ-ნი აშილი: მე ამ მაწანწალასთან ვერ ვიჭიდავებ. ამისთვის არსებობს ჟოზეფი, მეეტლე...

ბ-ნი გუსტავი: ვცადეთ და არაფერი გამოგვივიდა... ძალა არ დაგვიზოგია...

(შუშებიანი კარიდან გამოდიან სხვა სტუმრები. უმრავლესობას პირი ჯერ კიდევ საჭმლითა აქვს გამოტანილი, ხელსახოცივით უჭირავთ ხელში და უფენიათ გულისპირზე)

სურათი მეხუთე

იგივენი და რამდენიმე სტუმარი

პირველი სტუმარი: რა ხდება?

მეორე სტუმარი: რას აკეთებ, გუსტავ?

მესამე სტუმარი: რა უნდა ამ ჯიბგირს?

მეოთხე სტუმარი: აქ საიდან გაჩნდა?

ბ-ნი გუსტავი: ცოცხალი თავით არ მიდის. ამ ვირჟინიამაც სისულელე ჩაიდინა... სულ ასე იქცევა: როგორც კი მათხოვარს დაინახავს, მაშინვე ჭკუას კარგავს... მეტისმეტად ბრიყვია...

ეზოში შემოუშვა ეს გიჟი, რომელიც დეიდაჩემის გაცოცხლებას აპირებს!..

პირველი სტუმარი: პოლიციას დაუმახეთ, რწმუნებულები მოძებნეთ...

ბ-ნი გუსტავი: არა, არა! არავითარი რწმუნებულები არ მინდა...

სკანდალიდა გვაკლია ასეთ დღეს!

ბ-ნი აშილი: გუსტავ!

ბ-ნი გუსტავი: რა იყო?

ბ-ნი აშილი: შეამჩნიე, რომ ვესტიბიულის ბოლოში, მარცხენა მხარეს, ორი თუ სამი ფილაა გაბზარული?

ბ-ნი გუსტავი: ჰო, ვიცი. არა უშავს რა... მოზაიკით უნდა შევცვალო...

ბ-ნი აშილი: თვალს უფრო გაახარებს.

ბ-ნი გუსტავი: თან უფრო თანამედროვე იერიც ექნება. ამ თეთრფარდებიან კარში კი ორნამენტთან შუშებს ჩავსვამ: ზოგზე ნადირობა იქნება ამოტვიფრული, ზოგზე - ინდუსტრიული მიღწევები, პროგრესის ამსახველი სურათები... გარშემო სხვადასხვა ხილის და ნადირ-ფრინველის არშიებს შემოვაცოლებ...

ბ-ნი აშილი: კარგი იქნება.

ბ-ნი გუსტავი: აქ კაბინეტს მოვაწყობ (უჩვენებს მარჯვენა ოთახს) მეორე მხარეს თანამშრომლები იქნებიან.

ბ-ნი აშილი: როდის გადმოდიხარ?

ბ-ნი გუსტავი: რამდენიმე დღეში... ხვალდანვე გადმოსვლა უხერხული იქნება.

ბ-ნი აშილი: მაგრამ ჯერჯერობით ეს არსება მოვიშორეთ თავიდან!

ბ-ნი გუსტავი: ისე დგას, თითქოს საკუთარ სახლში იყოს!

ბ-ნი აშილი (წმინდა ანტუანს): სავარძელი ხომ არ გნებავთ?

წმინდა ანტუანი (გულუბრყვილოდ): არა, გამდლობთ, დაღლილი არ ვარ...

ბ-ნი აშილი: მიმიშვი ერთი... (უახლოვდება წმინდა ანტუანს და შინაურულად მიმართავს): აბა, მეგობარო, ვინ ბრძანდები?

წმინდა ანტუანი: წმინდა ანტუანი ვარ.

ბ-ნი აშილი: ეს უკვე ვიცით. (სხვებს). ისევ იმას იძახის, თუმცა არ იმუქრება... (ამჩნევს სხვა სტუმრებთან ერთად მდგარ კიურეს, რომელიც წმინდა ანტუანს უყუ რებს დამცინავი და უნდობელი მზერით) აი, ბატონი კიურე! გიცნობთ და აპირებს, რომ პატივი მოგაგოთ... აქეთ მობრძანდით, ბატონო კიურე, წმინდანები თქვენი სფეროა... ჩემი საქმე - სასოფლო-სამეურნეო მანქანები და სამიწათმოქმედო იარაღებია. აი, ზეცის წარმოგზავნილი დიდი წმინდა ანტუანი საკუთარი პერსონით, რომელსაც თქვენთან საუბარი სურს... (ხმადაბლა ეუბნება კიურეს) გიჟია... კარისკენ წავიყვანოთ შეუმჩნეველად, ვითომც აქ არაფერია. როგორც კი გარეთ მოხვდება, მერე კარგად მეყოლე.

სურათი მეექვსე

იგივენი, კიურე, სტუმრები

კიურე (თვალთმაქცურად და შემპარავად): დიდო წმინდაო ანტუან! თქვენი მორჩილი მსახური მივესალმები თქვენს ჩამობრძანებას მიწაზე, რომელსაც პატივი დასდეთ თქვენი ზეციური მოწყალებით. რა სურს თქვენს უწმინდესობას?..

წმინდა ანტუანი: მადმუაზელ ჰორტენზიას გაცოცხლება.

კიურე: საბრალო ქალი! მართლაცდა მკვდარია! მაგრამ ასეთი სასწაულის მოხდენა ჩვენს დიდ წმინდანს არ გაუჭირდება. მიცვალებულის გვამი თქვენთვის განსაკუთრებული მოკრძალების საგანია... მე მიგიყვანთ მასთან, პატივი დამდეთ და გამომყევით, თქვენო უწმინდესობავ... (მიდის ქუჩაში გასასვლელი კარისკენ და წმინდა ანტუანსაც უთითებს) აქეთ!

წმინდა ანტუანი (უჩვენებს მარჯვენა კარს): არა, აქეთ.

კიურე: შემინდოს თქვენმა უწმინდესობამ, თუკი შეკამათებას ვბედავ. სტუმართა დიდი რაოდენობის გამო ცხედარი მოპირდაპირე მხარეს დაასვენეს, რომელიც ასევე ეკუთვნის ცხონებულ ქალბატონს.

წმინდა ანტუანი (უჩვენებს მარჯვენა კარს): აქეთ.

კიურე (უფრო და უფრო დათაფლულად): რათა საპირისპიროში დარწმუნდეთ, ერთი წუთით ქუჩაში გამომყევით, თქვენო უწმინდესობავ! იქიდან მოჩანს სანთლები და სამგლოვიარო ფარდები.

წმინდა ანტუანი (მშვიდად, მუდამ მარჯვენა კარისკენ მითითებით): აქ უნდა შევიდე.

პირველი სტუმარი: ერთი ამას უყურეთ!

ბ-ნი გუსტავი: უკვე თავს გავიდა.

პირველი სტუმარი: გავალოთ კარი და ყველამ ერთად გავაგდოთ.

ბ-ნი გუსტავი: არა, არა! არავითარი სკანდალი... არ გავაბრაზოთ, ძალზე საშიში ვინმე ჩანს. ჰერკულესის ძალა აქვს, ვერაფერს უზამთ. მე და ჟოზეფმა - არცთუ პატარა გოგონებმა -

ადგილიდანაც ვერ დავპარით... ძალზე უცნაურია, თითქოს მიწაშია ჩასობილი.

ბ-ნი აშილი: კი მაგრამ ვინ უთხრა, რომ ცხედარი ამ ოთახშია?

ბ-ნი გუსტავი: ამასაც ეს ყბედი ვირჟინია ეტყოდა.

ვირჟინია: მე, ბატონო? არა, არა, მაგის უფლება სადა მაქვს... მე ჩემს საქმეს ვაკეთებდი, ჰოს და არას გარდა არაფერი მითქვამს, არა, წმინდაო ანტუან? (ეს უკანასკნელი არ პასუხობს) ხმა ამოიღეთ, როცა თავაზიანად მოგმართავენ!

წმინდა ანტუანი (როგორც ყოველთვის - მორჩილად): მას ეს ჩემთვის არ უთქვამს.

ვირჟინია: ხედავთ? ეს წმინდანია! მან ყველაფერი წინასწარ იცოდა! გეუბნებით, ყველაფერი იცის-მეთქი!

ბ-ნი აშილი (წმინდანთან მიდის და რამდენიმეჯერ მეგობრულად დაარტყამს მხარზე): კარგი, ძმობილო, გაინძერი, ეშმაკმა წაგიღოს!

სტუმრები: წავა! არ წავა!

ბ-ნი აშილი: კარგი იდეა მაქვს!

ბ-ნი გუსტავი: აბა, გვითხარი.

ბ-ნი აშილი: ექიმი სად არის?

ერთ-ერთი სტუმარი: მაგიდას უზის, კალმახს ამთავრებს...

ბ-ნი გუსტავი: დაუმახეთ! (ემახიან ექიმს) სწორია! ეს გიჟია და გიჟებს ექიმმა უნდა მიხედოს.

(შემოდის ექიმი საჭმლით პირში და ხელსახოცით ნიკაპქვეშ)

სურათი მეშვიდე

იგივენი და ექიმი

ექიმი: ვინ არის? გიჟი? ავადმყოფი? ლოთი? (დაინახავს წმინდანს) მათხოვარი! რას იზამ! აბა, მეგობარო, რა გიჭირს? გინდა რამე?

წმინდა ანტუანი: მადმუაზელ ჰორტენზია უნდა გავაცოცხლო.

ექიმი: აჰ, ძალიან კარგი, გასაგებია. თქვენ ექიმი არ ხართ. ნებას მომცემთ თქვენი ხელი ავილო? (უსინჯავს პულსს) გტკივათ რამე?

წმინდა ანტუანი: არა. ექიმი (უსინჯავს შუბლს და თავს) აქ? თითოს როცა გაჭერთ, გრძნობთ რამეს?

წმინდა ანტუანი: არა.

ექიმი: დიდებულია. თავბრუ ხომ არ გესხმით ხოლმე?

წმინდა ანტუანი: არასოდეს.

ექიმი: წარსულში მძიმე ტრავმები ხომ არ გადაგიტანიათ? აბა, ეს ვნახოთ... ძალიან კარგი. ღრმად ისუნთქეთ... უფრო... კიდევ უფრო... დიდებულია. მაშასადამე, რა გსურთ?

წმინდა ანტუანი: ამ ოთახში შესვლა.

ექიმი: რა

მიზნით? წმინდა ანტუანი: მადმუაზელ ჰორტენზია უნდა გავაცოცხლო.

ექიმი: ის იქ არ არის.

წმინდა ანტუანი: იქ არის, მე ვხედავ.

ბ-ნი გუსტავი: არ დათმობს!

ბ-ნი აშილი: ერთი რომ გეჩხვლიტათ?

ექიმი: რისთვის?

ბ-ნი აშილი: რომ ჩასძინებოდა... ავიყვანდით და ქუჩაში გავდებდით...

ექიმი: აბა, აბა, სისულელეებს მოვეშვით... თანაც ეს საშიშია...

ბ-ნი აშილი: მით უარესი თქვენთვის! ეს ჩვენ არ გვცხება. ჩვენ არავინ გვიხდის იმისთვის, რომ ვიზრუნოთ გიჟებზე, მაწანწალებზე ან ლოთებზე...

ექიმი: გითხრათ ჩემი რჩევა?

ბ-ნი გუსტავი: მაგას არ გეკითხებით!?

ექიმი: ჩვენ საქმე გვაქვს შეშლილთან, ერთგვარ ჭკუასუსტ მანიაკთან, სრულებით უწყინართან, მაგრამ რომელიც შეიძლება საშიში გახდეს, თუკი წინააღმდეგობას გაუწევ. კარგად ვიცნობ ამ შემთხვევას. ასე რომ, ჩვენში დარჩეს და, ცოტა უცნაურობის მიუხედავად, ეს ცდა არაფრით არ ჩანს შეურაცხყოფელი ჩვენი ცხოვრებისთვის... ჰოდა, თუკი სკანდალის აცილებაც გვსურს, რატომ არ შევუსრულოთ ასეთი უბრალო სურვილი და არ შევუშვათ ცოტა ხნით ოთახში?

ბ-ნი გუსტავი: არასოდეს! სადღა გამოგვეყოფა თავი, თუ პატივსაცემ ოჯახში შემოვუშვებთ პირველივე შემოხეტებულს ვითომც იმ საბაბით, რომ სურს მკვდრეთით აღადგინოს მიცვალებული, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია?!

ექიმი: როგორც გენებოთ... თავად აირჩიეთ... ერთის მხრივ - გარდაუვალი სკანდალი, რადგან მას ვერაფერი გადაათქმევინებთ თავის განზრახვას, მეორეს მხრივ კი - პატარა დათმობა, რომელიც არაფრად არ გიდირთ...

ბ-ნი აშილი: ექიმი მართალს ამბობს.

ექიმი: საშიში არაფერია, მე ვაგებ პასუხს ყველაფერზე. თანაც ყველანი აქ ვართ და მასთან ერთად შევალთ ოთახში.

ბ-ნი გუსტავი: კარგი, ასე ვქნათ და მოვრჩეთ... ოღონდ სიტყვა არავინ დამრას ამ სასაცილო ამბავზე!

ბ-ნი აშილი: დეიდას ძვირფასეულობა ბუხარზეა გაშლილი...

ბ-ნი გუსტავი: ვიცი, თვალი მეჭირება. ხომ იცი, რომ არავის ვენდობი... (წმინდა ანტუანს) წამოდით. აქეთ შედით. ოღონდ ცოტა დაუჩქარეთ, ჯერ არც კი გვისაუზმია...

(ყველა მიდის მარჯვენა ოთახისკენ. წინ მიდის წმინდა ანტუანი მძლავრად გაბრწყინებული ნიშნით)

მეორე მოქმედება

სასტუმრო ოთახი. დიდ, ფარდებიან საწოლზე განისვენებს მადმუაზელ ჰორტენზიას ცხედარი. თავთან უდევს ორი ანთებული სანთელი, ზვის ტოტი და სხვ. მარცხნივ ჩანს კარი, მარჯვნივაც ერთი კარი, რომელიც გადის ბაღში. წინა მოქმედების ყველა მონაწილე შემოდის მარცხენა კარიდან, წინ მოუძღვებათ წმინდა ანტუანი, რომელსაც ბ-ნი გუსტავი უჩვენებს საწოლს.

სურათი პირველი

ბ-ნი გუსტავი, წმინდა ანტუანი, ვირჟინია, ბ-ნი აშილი, ერთი სტუმარი, ექიმი, მოხუცი ქალი

ბ-ნი გუსტავი: აი, ცხონებულის ცხედარი, ხომ ხედავთ, რომ ნამდვილად მკვდარია. დაკმაყოფილდით? ახლა თავი დაგვანებეთ. შევამოკლოთ ეს ცდა. ისევ გაიყვანეთ ზალის კარიდან!

წმინდა ანტუანი: ერთი წუთით... (გადის ოთახის შუაგულში, საწოლის ბოლოსთან ჩერდება და მიცვალებულს მიმართავს დაბალი და ძლიერი ხმით) აღსდექ!

ბ-ნი გუსტავი. კმარა! ჩვენ აღარ შეგვიძლია მოთმინებით ვუცქიროთ იმას, თუ როგორ ხელყოფს ვიღაც შემოთრეული ჩვენს უძვირფასეს გრძნობებს... უკანასკნელად გთხოვთ, რომ...

წმინდა ანტუანი: ერთი წუთით! (უფრო ახლოს მიდის საწოლთან და ამბობს უფრო ძალუმი და მბრძანებლური ხმით): აღსდექ!

ბ-ნი გუსტავი (კარგავს მოთმინებას): ეს უკვე მეტისმეტია! ამას წყობიდან გამოვყავარ... აქეთ მობრძანდით, კარი...

წმინდა ანტუანი: ერთი წუთით!.. ქალბატონი უკვე ძალიან შორს წასულა... (კიდევ უფრო ღრმა და მბრძანებლური ხმით) მადმუაზელ ჰორტენზია, დაბრუნდი და აღსდექ!

(ყველასდა გასაოგნებლად, მიცვალებული ჯერ ნელა შეირხევა, შემდეგ ახელს თვალებს, ხსნის ხელებს, ნელა წამოჯდება და გარშემო ავლებს უკმაყოფილო და მომღურავ მზერას. შემდეგ აუღელვებლად იწყებს თავისი კაბის კალთიდან სანთლის ნაღვენთის ამოფხეკას. ერთხანს მონუსხული სიჩუმეა. შემდეგ ვირჟინია ტოვებს თავზარდაცემულ ადამიანთა ჯგუფს და მკლავებში უვარდება მკვდრეთით აღმდგარ ქალბატონს)

ვირჟინია: მადმუაზელ ჰორტენზია! გაცოცხლდა, გაცოცხლდა! ხედავთ, სანთლის ნაღვენთს იფხიკავს! სათვალეს ეძებს! აი,

სათვალე! წმინდაო ანტუან! წმინდაო ანტუან! ო, სასწაული! სასწაული! დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ!..

ბ-ნი გუსტავი: ვნახოთ, აბა... სისულელეებს ნუ რომავ, ახლა ამის დრო არ არის!

ბ-ნი აშილი: რა უნდა ნახო, ცოცხალია...

სტუმარი: მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია! რა გაუკეთა?

ბ-ნი გუსტავი: ისეთი არაფერი... მალე ისევ საწოლზე დავარდება...

ბ-ნი აშილი: არა, არა, რას ამბობ... შეხედეთ როგორ გვიყურებს!

ბ-ნი გუსტავი: ეს წარმოუდგენელია... სადა ვართ, რომელ ქვეყანაში? ნუთუ არავითარი წესი აღარ არსებობს? ექიმო, რას ფიქრობთ ამაზე?

ექიმი (უკმაყოფილოდ): რას ვფიქრობ? მაინც რა გნებავთ, რომ ვიფიქრო? ეს მე არ მეხება... ეს ჩემი საქმე აღარ არის... ეს აბსურდია... უბრალო აბსურდი... თუ ცოცხალია, ეს იმას ნიშნავს, რომ მკვდარი არ არის... ასეთი რამ სხვა დროსაც მომხდარა, ამისთვის გავგიჟდეთ და ვიყვიროთ „სასწაული, სასწაულიო“? ყველა შემთხვევაში, მე პასუხს არ ვაგებ...

ბ-ნი გუსტავი: მაგრამ თქვენ ხომ თქვით, რომ...

ექიმი: მე ვთქვი, მე ვთქვი... ჯერ ერთი, რომ მე არაფერი დარწმუნებით არ მითქვამს... და, სხვათა შორის, შევნიშნავ, რომ მისი სიკვდილის ფაქტი მე არ დამიმოწმებია. ფრიად სერიოზული ეჭვებიც კი მქონდა ამის თაობაზე, რომლებიც არ გაგიზიარეთ, რომ თქვენში ყალბი იმედი არ გამეღვიძებინა... მეორეც ის, რომ ეს ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს და ძალზე მოსალოდნელია, რომ დიდხანს ვერ იცოცხლოს...

ბ-ნი აშილი: მანამდე კი ანგარიში გავუწიოთ სინამდვილეს, ბედნიერ სინამდვილეს!..

ვირჟინია: დიახ, დიახ! უნდა დავიჯეროთ! აღარაფერია საეჭვო! ხომ გეუბნებოდით - ეს წმინდანია, დიდი წმინდანი... ერთი შეხედეთ, როგორი ცოცხალია, რა დილის ვარდით ცინცხალი!..

ბ-ნი გუსტავი (მიდის საწოლთან და ემთხვევა მკვდრეთით აღმდგარს): დეიდა, ძვირფასო დეიდა, მამ, დაბრუნდით?

ბ-ნი აშილი (ისიც მიდის): მე, ჩემო კეთილო დეიდა, მე თუ მცნობთ? აშილი ვარ, თქვენი დისწული აშილი...

მოხუცი ქალი: მე, ჩემო მამიდუკა? მე თქვენი ძმისშვილი ლეონტინა ვარ...

ახალგაზრდა ქალიშვილი: მე მიცანით, ჩემო საყვარელო ნათლია? მე თქვენი პატარა ვალენტინა ვარ, რომელსაც თქვენ მთელი თქვენი ვერცხლეული მიეცით...

ბ-ნი გუსტავი: იღიმება!..

ბ-ნი აშილი: არა, რაღაც უკმაყოფილო იერი აქვს...

ბ-ნი გუსტავი: ყველას გვცნობს...

ბ-ნი აშილი (ხედავს, რომ დეიდამ ტუჩები აამოძრავა): ყურადღება! ლაპარაკს იწყებს!

ვირჟინია: უფალო! მან ღმერთი იხილა! ახლა ცის ამბებს მოგვიყვება! დაიჩოქეთ! დაიჩოქეთ!..

ბ-ნი აშილი: მოუსმინეთ! მოუსმინეთ!

სურათი მეორე

მადმუაზელ ჰორტენზია, ბ-ნი გუსტავი, წმინდა ანტუანი, ბ-ნი აშილი, ვირჟინია, ექიმი, ჟოზეფი

მადმუაზელ ჰორტენზია (უყურებს წმინდა ანტუანს განაწყენებული მზერით და მკვეთრი, მწყრალი ხმით ამბობს): ვინ არის ეს კაცი? ვინ შემოუშვა ჩემს ოთახში ეს ფეხშიშველა? ყველა ნოხი დაუსვრია! გარეთ! გარეთ! ხომ იცი, ვირჟინია, რომ მე...

წმინდა ანტუანი (ხელს მბრძანებლურად სწევს ზევით): სიჩუმე! (დეიდა შუა ლაპარაკში უცბად ჩერდება და, პირდაღებული, ხმას ვეღარ იღებს)

ბ-ნი გუსტავი: აპატიეთ! მან ჯერ კიდევ არ იცის რას უნდა გიმადლოდეთ.. მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ის, რაც თქვენ გააკეთეთ, უმრავლესობისთვის მიუწვდომელია. რა იყო ეს? შემთხვევითობა თუ რამე სხვა? მე ამისა არაფერი გამეგება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ბედნიერი ვარ და მსურს ხელი ჩამოგართვათ...

წმინდა ანტუანი: უნდა წავიდე... საქმე მაქვს...

ბ-ნი გუსტავი: აჰ, როგორ გეკადრებათ! ეს ამბავი ასე არ ჩაივლის, აქედან ხელგარიელს ვერ გაგიშვებთ. არ ვიცი რას მოგცემთ დეიდაჩემი, - ეს მისი საქმეა და მე მისი სახელით ვერ ვილაპარაკებ, - მაგრამ, ჩემის მხრივ, მე მოვეთათბირები აშილს და ჩვენ ულაპარაკოდ გადავიხდით ამ დამთხვევის საზღაურს... დამთხვევაა თუ რაც არის... თქვენ არ ინანებთ იმას, რაც გააკეთეთ. არა, აშილ?

ბ-ნი აშილი: რასაკვირველია, არ ინანებთ. პირიქით...

ბ-ნი გუსტავი: ჩვენ ძალიან მდიდრები არ ვართ, თან ბავშვებიც გვყავს და ბევრი უსიამოვნებაც გვხვდება... მაგრამ ჩვენ ვიცით სიკეთის ფასი! და განა ამ ოჯახისთვის პატივი იქნება, ხმა რომ გავარდეს - უცხოში, დატაკმა ასეთი სამსახური გაუწია და იმათ კი ამის პასუხად თუნდაც თავისი, ვიმეორებ, მოკრძალებული შესაძლებლობებით არაფერი გადაუხადესო?!.. ოჰ, ვიცი, ვიცი, რომ ამგვარი სამსახურის ანაზღაურება შეუძლებელია და ფულით ვერ აიწონება... ვის ეუბნებით ამას? მე ეს კარგად ვიცი და სიტყვას ნუ მაწყვეტინებთ... მაგრამ ეს საკმარისი მიზეზი არ არის საიმისოდ, რომ არაფერი გაიღოს კაცმა. აბა, რას ინებებდით? რას ისურვებდით, რომ თქვენთვის გაეკეთებინათ? მთებს ნუ მოგვთხოვთ, ჩვენ ამდენს ვერ გავწვდებით, მაგრამ რისი გაკეთებაც შესაძლებელია, გავაკეთებთ.

ბ-ნი აშილი: გუსტავი მართალია. მაგრამ ვიდრე ეს ამბები მოგვარდებოდეს, წინადადებას გაძლევთ ჩვენს წრეში აკრიფოთ მცირედი შემოწირულობა. ეს თქვენ არაფრით არ დაგავალდებულებთ და საშუალებას მოგცემთ სასწრაფოდ გამოეწყოთ სხვა ტანსაცმელში.

წმინდა ანტუანი: უნდა წავიდე, სხვაგანაც მაქვს საქმე...

ბ-ნი გუსტავი: საქმე! საქმე! რა საქმეები შეიძლება გქონდეთ თქვენ? არა. ეს მიუღებელია... რას იტყვიან ჩვენზე, როცა გაიგებენ, რომ ასე ხელცარიელი გავუშვით ის, ვინც ჩვენ უკან დაგვიბრუნა ძვირფასი მიცვალებული? თუ არაფერი არ გინდათ, - და მე მესმის თქვენი მოკრძალება და ვამართლებ მას, - მაშინ იმ სიამოვნებას მაინც ნუ მოგვაკლებთ, რომ მიიღოთ ჩვენგან პატარა სუვენირი... ოჰ, დიდი არაფერია, ნუ

შეგემინდებათ! პორტსიგარი, ჰალსტუხის სარჭი, ხვირთქლის ჩიბუხი, - მე ნებისმიერ მათგანზე ამოვტვიფრავ თქვენს სახელს, მისამართს და დაბადების წელს...

წმინდა ანტუანი: არა, გმადლობთ... არ შემიძლია...

ბ-ნი გუსტავი: სერიოზულად?

წმინდა ანტუანი: ყველაზე უფრო სერიოზულად.

ბ-ნი აშილი (იღებს თავის პორტსიგარს): ნებისმიერ შემთხვევაში, მოგვანიჭეთ სიამოვნება და ჩვენთან ერთად გააბოლეთ ერთი სიგარა... ამაზე უარის თქმა არ შეიძლება...

წმინდა ანტუანი: გმადლობთ, არ ვეწევი.

ბ-ნი გუსტავი: ეს აღარაფერს არ ჰგავს! სულ არაფერი არ გინდათ? ერთი სურვილი მაინც უნდა გქონდეთ. მხოლოდ თქვით! ყველაფერი თქვენია ამ სახლში, რომელიც თქვენ სიხარულით აღავსეთ, ყველაფერი თქვენთვისაა... უკეთესად ვეღარც კი ვიტყვი... ყოველ შემთხვევაში - ყველაფერი, რისი მოცემაც პატიოსნად შეუძლიათ... მაგრამ სულ უარაფროდ წასვლა - ჩვენი შეურაცხყოფაა!

ბ-ნი აშილი: იცით, იდეა მაქვს და, მე მგონი, საკმაოდ კარგი იდეაც. იმდენად, რამდენადაც ბატონს არაფრის მიღება არ სურს - და, ჩემი მოყვრისა არ იყოს, ყველას გვესმის ეს და ყველა გამართლებთ, რადგან სიცოცხლის საფასური, უბრალოდ, არ არსებობს და ვერანაირად ვერ ანაზღაურდება - და, აგრეთვე, რამდენადაც ასეთი საქციელით ბატონი ამტკიცებს თავის სრულ უანგარობას, რითაც იგი - არც მეტი, არც ნაკლები - ჩვენი რანგის ადამიანი ხდება, მაშინ რატომ არ დაგვდოს პატივი და არ დაჯდეს ჩვენთან ერთად სუფრასთან, რათა დავასრულოთ

საუზმე, რომელიც მან ასე ფეხბედნიერად შეგვაწყვეტინა? - რას იტყვით ამაზე?

(ისმის კვერისდამკვერელი ჩურჩული)

ბ-ნი გუსტავი: დიდებულა, დიდებულო! ეს ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს! ამის მოფიქრება არ გინდოდა! (წმინდა ანტუანს) აბა, რას იტყვით ამაზე? ცოტას შევმჭიდროვდებით და სათქვენო ადგილიც გამოჩნდება, საპატიო ადგილი! კაკაბი უკვე გაცივდებოდა, იმდენი ხანია რაც გვიცდის, მაგრამ მით უარესი მისთვის! თქმულა და გაკეთებულა, არა? ყოველგვარი ცერემონიის გარეშე. როგორც თავად ხედავთ - ჩვენ კეთილი ხალხი ვართ, არა გულზვიადნი...

წმინდა ანტუანი: არა, არა... ნება მიბოძეთ... ვწუხვარ, მაგრამ არ შემიძლია... მელოდებიან...

ბ-ნი გუსტავი: ასე ვერ უარგვყოფთ! თანაც ვინ გელოდებათ ახლა?

წმინდა ანტუანი: სხვა მიცვალებული.

ბ-ნი გუსტავი: მიცვალებული! ისევ მიცვალებული! არა, ასე არ გამოვა. იმედი მაქვს, მკვდარს ჩვენზე წინ არ დააყენებთ! ვის გაუგია ჩვენი მიტოვება მკვდრის გამო!

ბ-ნი აშილი: აჰ, მე მგონი, ვხვდები რაშია საქმე! ალბათ, სამზარეულოში გირჩენიათ ჩასვლა, იქ უფრო თავისუფლად იქნებით...

ბ-ნი გუსტავი: ყავის დასალევად შეუძლია ამოვიდეს.

ბ-ნი აშილი: არ უარობს. ასე ურჩევნია. მესმის. კარგი, ვირჟინია, მოეშვი შენს ქალბატონს, აღარ ჭირდება შენი ზრუნვა. ჩაჰყევი ბატონს და მიაგე პატივი შენს პატარა საუფლოში... ყველაფერს შეჭამს... ჰე, ჰე! დარწმუნებული ვარ, თქვენ და ვირჟინია არ

მოიწყენთ (მიდის წმინდანთან და ორ-სამჯერ მეგობრულად დაჰკრავს მუცელზე) ხომ კარგად გამოვიცანი, ჰა? წადი, ბებერო ეშმაკუნაე! ბებერო მასხარავ! აჰ, შე ბებერო წმინდა მასხარავ!..

ვირჟინია (შეშინებული): ბატონო!

ბ-ნი გუსტავი: რა იყო?

ვირჟინია: არ ვიცი... მადმუაზელი ველარ ლაპარაკობს!

ბ-ნი გუსტავი: როგორ თუ ველარ ლაპარაკობს?

ვირჟინია: შეხედეთ, ბატონო! პირს აღებს, ტუჩებს აცმაცუნებს, ხელებსაც ამოდრავებს, მაგრამ ხმას ველარ იღებს...

ბ-ნი გუსტავი: რა დაგემართათ, დეიდა? რამის თქმა გნებავთ? (ქალბატონი თავს უქნევს დასტურის ნიშნად) და არ შეგიძლიათ? აბა, ცოტა ძალა მოიკრიფეთ... ეს დროებითი დამბლა იქნება... (ქალბატონი ანიშნებს, რომ ველარ ლაპარაკობს) რა მოგივიდათ? გსურთ რამე? (წმინდა ანტუანს) ეს რას ნიშნავს? წმინდა ანტუანი: ველარ ილაპარაკებს.

ბ-ნი გუსტავი: ველარ ილაპარაკებს? მაგრამ ხომ ლაპარაკობდა? თქვენც ხომ მოისმინეთ? სწორედ თქვენ არ მოგმართათ უსიამოვნო სიტყვებით?

წმინდა ანტუანი: ეს მცირედი გულმავიწყობა იყო ჩემი მხრიდან. მას ხმა აღარ ექნება.

ბ-ნი გუსტავი: არ შეგიძლიათ, რომ დაუბრუნოთ?

წმინდა ანტუანი: არა.

ბ-ნი გუსტავი: და როდის მოუვა ხმა?

წმინდა ანტუანი: აღარასოდეს.

ბ-ნი გუსტავი: როგორ? სიცოცხლის ბოლომდე მუნჯი დარჩება?

წმინდა ანტუანი: ხო.

ბ-ნი გუსტავი: რატომ?

წმინდა ანტუანი: მან იხილა საიდუმლოები, რომელთა თქმის უფლება არ აქვს.

ბ-ნი გუსტავი: საიდუმლოები? რა საიდუმლოები?

წმინდა ანტუანი. მკვდართა ქვეყნის საიდუმლოები.

ბ-ნი გუსტავი: მკვდართა ქვეყნის? ეს რა, ახალი ხუმრობაა? ვინ გგონივართ, ბოლოს და ბოლოს? არა, ჩემო კარგო, ეს ასე არ ჩაგივლის... მადმუაზელი ლაპარაკობდა, ჩვენ ყველამ გავიგონეთ, მოწმეებიც გვყავს... თქვენ მას ვერაგულად წაართვით მეტყველების უნარი! მე უკვე ვიწყებ მიხვედრას, რა მიზნით მოიმოქმედეთ ეს. ახლავე დაუბრუნეთ, თორემ...

ბ-ნი აშილი: ნამდვილად არ ღირდა მისი გაცოცხლება, თუ ასე უნდა დარჩენილიყო.

ბ-ნი გუსტავი: თუ არ შეგეძლოთ მისი მთლიანად დაბრუნება ჩვენთვის, - სწორედ ისეთის, როგორიც ის იყო ამ თქვენს სულელურ და მოუქნელ შემოჭრამდე, - მაშინ არც უნდა ჩარეულიყავით ამ ამბავში!

ბ-ნი აშილი: ეს ბოროტი საქციელია!

ბ-ნი გუსტავი: ნდობის ბოროტად გამოყენება.

ბ-ნი აშილი: ნდობის ბოროტად გამოყენება. ამის პატიება არ შეიძლება.

ბ-ნი გუსტავი: ჩვენი შანტაჟირების იმედი ხომ არ გქონდათ?

ბ-ნი აშილი: საერთოდ ვინ შეგეხვეწათ აქ მოსვლა? ცოტა უხერხული სათქმელია, მაგრამ მკვდრის ყურება მერჩივნა მის ამგვარ ყოფაში ნახვას. ეს მეტისმეტად მძიმეა და აუტანელი ყველა მისი გულშემატკივრისთვის. ვინ მოგცათ იმის უფლება - სასწაულის საბაბით შეაწუხოთ პატიოსანი ხალხი, რომელსაც

თქვენთვის არაფერი დაუშავებია! მაგრამ ვნახავთ, ვინ გაიცინებს ბოლოს!

ექიმი: ერთი წუთით! დამშვიდდით! ეს კაცი ცუდად მოიქცა. ეს უდავოა. მაგრამ - ჩვენ მას იმგვარადვე ვერ მოვექცევით. როგორც ჩანს, ჭკუა არ მოეკითხება. (მიდის წმინდანთან) ნება მომეცით, თვალებში ჩაგხედოთ... კარგი. მე ეს ვიცოდი. მე არ შემოგიერთდით, როცა ყველა გულითად მადლობას უხდით სასწაულებრივი გაცოცხლებისთვის, რათა არ ჩავრეულიყავი იმაში, რაც მე არ მეხება. მე ვიცოდი როგორ უნდა მოვექცულიყავი და თქვენც ჩემსავით დაინახეთ, რომ მადმუაზელი მკვდარი არ იყო. აქ არაფერია ზებუნებრივი ან იდუმალებით მოცული. ეს სუბიექტი, უბრალოდ, ფლობს საკმაოდ დიდ ნერვულ ძალას, რომლის მეშვეობითაც შეუძლია ჩაიდინოს მსგავსი ეშმაკობები, ყოველთვის უადგილოდ და ზოგჯერ ანგარებითაც კი. კარგ მომენტში მოარტყა და ეგ არი. ეგ რომ არ ყოფილიყო, ადვილი შესაძლებელია ჩვენ თვითონვე - მე ან თქვენ - ჩაგვედინა სასწაული, თუკი ძალიან მოვინდომებდით.

ბ-ნი გუსტავი: მაშ, ახლა რა ვქნათ?

ექიმი: აღარ მივცეთ მორიგი ზიანის მოყენების საშუალება და, რადგან ასე საშიშია, უსაფრთხო ადგილზე მოვათავსოთ.

ბ-ნი გუსტავი: მართალია. დროა მოვრჩეთ ამ დავიდარაბას, ყელში ამომვივინო. (ემახის) ჟოზეფ!

ჟოზეფი: რა გნებავთ, ბატონო!

ბ-ნი გუსტავი: ქუჩის ბოლოში რომ საგუმბაგოა, გაიქეცი და იქიდან ორი რწმუნებული მოიყვანე. ხელბორკილები წამოიღონ. უთხარი, რომ საქმე გვაქვს სახიფათო სუბიექტთან,

რომელსაც, როგორც უკვე ვნახეთ, ყველაფრის ჩადენა შეუძლია...

ჟოზეფი: ახლავე, ბატონო. (გადის სირბილით)

წმინდა ანტუანი: ნება მიბოძეთ, წავიდე...

ბ-ნი გუსტავი: კი, როგორ არა, ბებერო! კიდევ მოისულელე თავი! მართლაც უკვე დროა! მალე შეგეძლება წასვლა. ცოტა მოითმინე და მშვენიერ ესკორტსაც გაახლებ!

ბ-ნი აშილი: მაშ, ძმობილო, არ მოიწყენ! შეგეძლება განაგრძო შენი პატარა თაღლითობები ფრიად სასიამოვნო და არანაკლებ გამორჩეულ გარემოში, რომელსაც „საგუმავო“ ჰქვია... იცი, რას ნიშნავს, „თუთუნზე გასვლა“..?

წმინდა ანტუანი: თუთუნი? გმადლობთ, არ ვეწევი.

ბ-ნი აშილი: იქ მოგაწევინებენ! ახლა ერთი რჩევა: როცა ის ბატონები მოვლენ, რომლებმაც პატივი უნდა დაგდონ და გამოგყვნენ... მაგრამ, მე მგონი, უკვე ისმის მათი მსუბუქი და მწყობრი ნაბიჯის ხმა... აი, ისინიც!

(შემოდის ჟოზეფი, უკან მოჰყვებიან პოლიციის ბრიგადირი და აგენტი)

სურათი მესამე

ოგივენი, ბრიგადირი, აგენტი

ბრიგადირი: ამან ჩაიდინა დანაშაული?

ბ-ნი გუსტავი: დიახ, ამ სუბიექტმა.

ბრიგადირი (ხელს ადებს წმინდა ანტუანს): თქვენი საბუთები!

წმინდა ანტუანი: რა საბუთები?

ბრიგადირი: არა გაქვთ? ასეც ვიცოდი! თქვენი სახელი?

წმინდა ანტუანი: წმინდა ანტუანი.

ბრიგადირი: წმინდა რა? ანტუანი? ეს ქრისტიანის სახელი არ არის. მე მინდა თქვენი ნამდვილი სახელი.

წმინდა ანტუანი (ძალიან რბილად): მე სხვა სახელი არ მაქვს.

ბრიგადირი: თავაზიანად ჯობია, არა? სად მოიპარეთ ეს ხალათი?

წმინდა ანტუანი: არ მომიპარავს, ჩემია...

ბრიგადირი: ამ შემთხვევაში მე ვხელმძღვანელობ. ასე არ არის? თქვით, ნუ გერიდებათ.

წმინდა ანტუანი: არ ვიცი... შეიძლება თქვენ ცდებით...

ბრიგადირი: შევნიშნავ თქვენს კადნიერებას! წარმოშობით საიდან ხართ?

წმინდა ანტუანი: პადუიდან.

ბრიგადირი: პადუიდან? ეს რაღაა? რომელ დეპარტამენტშია ეს ადგილი?

წმინდა ანტუანი: იტალიაში.

ბრიგადირი: ვიცი, ვიცი. ეს ისე, ვითომ არ ვიცოდი... აჰ, თქვენ იტალიელი ხართ? ასეც ვფიქრობდი... ახლა საიდან მოდიხართ?

წმინდა ანტუანი: სამოთხიდან.

ბრიგადირი: რომელი სამოთხიდან? სად არის ბოროტმოქმედთა ეს ქვეყანა?

წმინდა ანტუანი: ეს არის ადგილი, სადაც უფლის წიაღში გარდაცვლილი სულები ხვდებიან სიკვდილის შემდეგ.

ბრიგადირი: აჰ, ძალიან კარგი, მესმის... ბატონი ხუმრობს, ბატონი დამცინის, უტიფრობის შემდეგ ბატონი

მახვილსიტყვაობს! ყველაფერი გასაგებია. ნულარ გავწელავთ საქმეს... ჰო, მართლა, რა ჩაიდინა, რა აწაპნა?

ბ-ნი გუსტავი: ჯერჯერობით ვერ ვიტყვი, რომ რამე მოიპარა. დრო არ მქონდა, რომ შემემოწმებინა, ტყუილუბრალოდ დაბრალება კი არ მიყვარს... უწინარეს ყოვლისა, სამართლიანი უნდა იყო... მაგრამ მან ძალიან მძიმე დანაშაული ჩაიდინა.

ბრიგადირი: ეჭვიც არ მეპარება.

ბ-ნი გუსტავი: თქვენ ხომ იცით, რა უბედურება დაგვატყდა თავს... სწორედ მაშინ, როცა დავტიროდით ძვირფას მიცვალებულს და ვამთავრებდით საუბრეს, მან შემოაღწია სახლში რაღაც საბაბით და არცთუ ძნელად გამოსაცნობი ზრახვებით, ისარგებლა მოსამსახურის უბრალოებით და მიმნდობი ხასიათით და შევიდა იმ ოთახში, სადაც მიცვალებული ესვენა: უთუოდ იმედი ჰქონდა, რომ ამ გლოვასა და არეულობაში რამეს გამოჰკრავდა ხელს... იქნებ რომელიმე თანამზრახველისგან გაგებულოც კი ჰქონდა, რომ დეიდაჩვენის ძვირფასეულობა ბუხრის თავზე ელაგა. მისთვისდა საუბედუროდ, დეიდა მკვდარი არ იყო. როგორც კი ოთახში ასეთი გარეგნობის უცნობი შეამჩნია, გაიღვიძა, ყვირილი ატეხა და გამოელაპარაკა. შემდეგ, რათა შური ეძია საკუთარი მარცხის გამო, არ ვიცი რა მანქანებით, - ამას ექიმი აგისხნით, - მან დეიდაჩვენს წაართვა მეტყველების უნარი და ჩვენი თხოვნის მიუხედავად, უარი თქვა დაებრუნებინა მისთვის ეს უნარი, ბუნებრივია - რაიმეს გამოძალვის მიზნით. გთხოვთ შენიშნოთ, რომ მე მას ბრალს არ ვდებ, მე მხოლოდ აღვწერ მოვლენათა მსვლელობას. დანარჩენი ბატონ ექიმს ჰკითხეთ.

ექიმი: ბატონ კომისარს მე ყველა ახსნა-განმარტებას მივცემ. თუ საჭიროა, დასკვნასაც დავწერ.

ბ-ნი აშილი: რაც მთავარია - შეცდომა გამორიცხულია: ეს ან ბოროტმოქმედია, ან გიჟი, შესაძლოა ერთიცა და მეორეც. ყველა შემთხვევაში, ფრიად სახიფათო პიროვნებაა, რომელიც უნდა იზოლირებულ იქნას საიმედო ადგილას.

ბრიგადირი: ცხადია. ჩვენ გაგანთავისუფლებთ ამ ყველაფრისგან... რაბუტო!

აგენტი: დიახ, ბრიგადირო!

ბრიგადირი: ხელბორკილი!

ბ-ნი გუსტავი: ბატონებო, თქვენ ისე შეიწუხეთ თავი ჩვენი გულისთვის, რომ წასვლის წინ უნდა გვასიამოვნოთ და ჩვენთან ერთად დალიოთ ერთი ჭიქა.

ბრიგადირი: ნამდვილად არ ვიტყოდით უარს, არა, რაბუტო? მით უმეტეს, რომ ამ ჩვენს სუბიექტს მთლად ჩვეულებრივი იერი არა აქვს...

ბ-ნი გუსტავი: ჟოზეფ, ბოთლი და ჭიქები! (ჟოზეფი გადის) თან დეიდაჩემის გამოჯანმრთელებისაც მიუჭახუნოთ.

ბრიგადირი: ცუდი არ იქნება ასეთ ამინდში.

ბრიგადირი: წარღვნა! ძლივს გადმოვედი ქუჩაზე. შეხედეთ ჩემს საწვიმარს...

აგენტი: წვიმაა თუ თოვლი - ვერ გაიგებ, საშინელებაა...

(შემოდის ჟოზეფი ლანგრით ხელში და წრემი ჩამოატარებს ჭიქებს)

ბრიგადირი (მალლა სწევს თავის ჭიქას): ბატონებო და ქალბატონებო, ყველას გაგიმარჯოთ!

ბ-ნი გუსტავი (ჭიქას უჭახუნებს ბრიგადირს): თქვენც გაგმარჯოთ, ბრიგადირო! (ყველანი უჭახუნებენ ბრიგადირს და აგენტს) ერთიც ხომ არ გადაგვეკრა?

ბრიგადირი: სიამოვნებით... (ენას აწკლაპუნებს) საუცხოოა!

წმინდა ანტუანი: მწყურია... ერთი ჭიქა წყალი, თუ შეიძლება...

ბრიგადირი (ჭირქილით): წყალიო! გესმით, რას ამბობს ეს ჩიტუნა? მიიღებ წყალს, მიიღებ. ცოტა მოითმინე, ძვირფასო, გავალთ გარეთ და თვითონ ჩაგედვრება პირში. აბა, ნუღარ ვჯანჯლავთ! რაბუტო, ხელბორკილი! ხელები გამოგვიშვირეთ!

წმინდა ანტუანი: მაგრამ მე ხომ...

ბრიგადირი: აბა, აბა! არავითარი ხმაური და საყვედურები! ესღა გვაკლდა! ყველა დაკავებული ერთნაირად იქცევა...

(რეკავენ ალაცაფის კარზე)

ბ-ნი გუსტავი: რეკავენ. (ჟოზეფი მიდის კარის გასაღებად)

რომელი საათია? შეიძლება უკვე პირველი სტუმრები...

ბ-ნი აშილი: ჯერ არა, ჯერ მხოლოდ სამი საათია.

(შემოდის პოლიციის კომისარი)

სურათი მეოთხე

იგივენი და კომისარი

ბ-ნი აშილი. ესეც ბატონი მიტრუ, პოლიციის კომისარი.

კომისარი: გამარჯობათ ბატონებო და ქალბატონებო! გავიგე, რომ... (დაინახავს წმინდა ანტუანს) ეჭვიც არ მეპარებოდა! ეს ხომ დიდი წმინდა ანტუან პადუელია!

ბ-ნი გუსტავი: როგორ, თქვენ მას იცნობთ?

კომისარი: და მერე როგორ! უკვე მესამეჯერ გამორბის საავადმყოფოდან. ცოტა არ იყოს (თითს იკაკუნებს შუბლზე) გესმით? დიდებული ჰიპნოტიზორია! სულ ამითაა დაკავებული: არჩენს ავადმყოფებს, ასწორებს კუზიანებს, სიარულის უნარს უბრუნებს დამბლადაცემულებს... მოკლედ, მთელ რიგ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ჩადის. (უახლოვდება და უფრო კარგად ათვალთვლებს წმინდანს) ჰო, ის არის... თუმცა ბოლო გაქცევის შემდეგ საკმაოდ შეცვლილა... თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს! თუ ეს ის არ არის, მაშინ მისი ძმა იქნება. - ერთი რამ კია გასარკვევი... არა უშავს, საგულშაგოზე გავარკვევთ, მეჩქარება! აბა, ჩემო ბიჭებო, ჩქარა საგულშაგოსკენ, ჩქარა, ჩქარა, ჩქარა!

ბ-ნი გუსტავი: ბალის კარიდან გავიდეთ, ნაკლებად შესამჩნევი იქნება.

(აღებენ ბაღში გამავალ კარს. შემოიჭრება წვიმის, თოვლის და ქარის ნაკადი)

ბ-ნი აშილი: ძაღლს არ გააგდებენ გარეთ! წვიმა, თოვლი, სეტყვა!..

(წმინდა ანტუანს კარისკენ უბიძგებენ)

ვირჟინია (მორბის): მაგრამ, ბატონო, ეს საბრალო ხომ ფეხშიშველაა!..

ბ-ნი გუსტავი: მერე რა? კარეტა მოვართვათ თუ სამარტვილე?

ვირჟინია: ჩემს საბოებს ვათხოვებ, სხვაც მაქვს...

წმინდა ანტუანი (იცვამს საბოებს): გმადლობ! (ნიმბი ბრწყინდება)

ვირჟინია: თავზე არაფერს იხურავთ? გაცივდებით!

წმინდა ანტუანი: არაფერი მაქვს...

ვირჟინია: ეს პატარა შალი აიღეთ... ქოლგასაც მოვძებნი...
(გადის სირბილით)

ბ-ნი აშილი: გიჟი ბებრუხანა!

ბ-ნი გუსტავი: ჰო. მაგრამ ამასობაში საშინელი სიცივე შემოდის... აბა, საგუშაგოსკენ, და ბოლო მოეღოს ამ ყველაფერს!..

ვირჟინია (ბრუნდება დიდი ქოლგით, რომელსაც თავაზობს წმინდა ანტუანს): აი, ქოლგა...

წმინდა ანტუანი (უჩვენებს ხელებს): ხელები შეკრული მაქვს...

ვირჟინია: მე დავიჭერ.

(კარის ზღურბლზე ვირჟინია ხსნის ქოლგას, რათა დააფაროს წმინდა ანტუანს, რომელიც გადის ორი რწმუნებულისა და პოლიციის კომისრის თანხლებით; წმინდანის ნიშბი ციმციმებს ქოლგის ზემოთ; ყველანი უჩინარდებიან თოვლ-წვიმის კორიანტელში)

ბ-ნი გუსტავი: როგორც იქნა!

ბ-ნი აშილი: უუჰ, არ გაგვიწყალა გული!

ბ-ნი გუსტავი (უახლოვდება საწოლს): აბა, ჩემო დეიდა?

ბ-ნი აშილი: რა დაემართა? მოწყვეტილია... ეცემა...

ბ-ნი გუსტავი (იხრება საწოლისკენ): დეიდა! დეიდა! ოჰ!

ექიმი: ამჯერად ყველაფერი დამთავრდა... ხომ გეუბნებოდით...

ბ-ნი გუსტავი: წარმოუდგენელია!

ბ-ნი აშილი: ექიმო, ვერაფერს ვიღონებთ

ექიმი: ვაი, რომ ვერაფერს!

(სიჩუმეა. ყველა გროვდება საწოლის გარშემო)

ბ-ნი გუსტავი (პირველი იბრუნებს სიმშვიდეს): რა დღე გვქონდა!

ბ-ნი აშილი: გესმით ქარიშხლის ხმა?

ბ-ნი გუსტავი: რაც არის, არის. ცოტა მკაცრად კი მოვექეცით იმ საცოდავს. - ბოლოს და ბოლოს, ისეთი არაფერი დაუშავებია...

დასასრული



სხვა ელექტრონული წიგნებისათვის გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს
გვერდს: www.iBooks.ge